სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 3 23 0001642640

04/12/2023

**ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის წესის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 თებერვლის N150909 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 ნოემბრის N 1520953 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის ფუნქციათა შემსრულებლის 2023 წლის 10 ნოემბრის N 1528176 წერილის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად, სტუ-ის ბაკალავრიატის სტუდენტთათვის სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნის მიზნით,

**ვბრძანებ** :

**1.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 ნოემბრის N 1520953 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, 2023 წლის პირველი ოქტომბრიდან 2024 წლის პირველ იანვრამდე 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში გაიცეს სახელმწიფო სტიპენდია თვეში 300 (სამასი) ლარის ოდენობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკრედიტებულ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ და ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის საუკეთესო რეიტინგის მქონე სტუდენტებზე;

**2.** სტიპენდიანტთა რაოდენობა ფაკულტეტების მიხედვით განისაზღვროს სტუ-ის ბაკალავრიატის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისად:

- სამშენებლო ფაკულტეტი – 88 სტუდენტი;
- ენერგეტიკის ფაკულტეტი – 88 სტუდენტი;
- სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი – 53 სტუდენტი;
- ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი – 27 სტუდენტი;
- სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი –60 სტუდენტი;
- არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი – 62 სტუდენტი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 114 სტუდენტი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 208 სტუდენტი;
- დიზაინის საერთაშორისო სკოლა - 13 სტუდენტი;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი - 120 სტუდენტი;
- ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 94 სტუდენტი;
- საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი - 58 სტუდენტი;
- მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტი - 17 სტუდენტი.

**3.** სახელმწიფო სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს ფაკულტეტებზე 2022–2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრის სესიების შედეგების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 ნოემბრის N 1520953 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;

**4.** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 9 ნოემბრის N 1520953 ბრძანებით განსაზღვრული კრიტერიუმები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს ფაკულტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე;

**5.** ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს „სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე“ ბრძანების პროექტის მომზადება;

**6.** ბრძანების კონტროლი დაევალოს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს თ.წერეთელს;

**7.** ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყონ ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებებმა;

**8.** ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

**9.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან